№ 275 დეკემბერი 24, კვირა 1889 დეკემბერი 24, კვირა № 275


გაზეთის ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889


დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 28 დეკემბერს.


სურათებიანი

**„ვეფხის-ტყაოსანი“**

ქვირფასს ყდაში,

გამოცემული

**გ. დ. ქართველიშვილის მიერ**

ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნთ საწყობში.

წიგნში 27 ზიჩისაგან დახატული სურათია, მრავალი განგებ ამ წიგნისათვის შეკვეთილი ჩუქურთმის მხატვრობა და სათაური ასოები, ამოჭრილა პეტერბურგში.

წიგნი დიდის ფორმატისაა და ღირს ტფილისში 15 მანათი.

ვისაც სურს ტფილისს გარეთ დაიბაროს, ფოსტისა და გასაგზავნი ხარჯი უნდა წარმოადგინოს კიდევ ერთი მანათი.

წიგნი იყიდება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში, ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში და ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში — ძმ. ჭილაძეებისა და ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიებში.

დაბარება შეიძლება ამ ადრესით.

Въ Тифлисъ. Канцелярія Общества грамотности. Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка. № 102



**ქართული თეატრი**

ხუთშაბათს, 28 დეკემბერს,

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

**წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლის სასარგებლოდ:**

ახალი პიესა

**რომ იცოდეს ჩემის გულის დარდები!**

კომედია 2 მოქმედ.

II

**ბიძიასთან გამოხუმრება**

ვოდევილი 1 მოქ. თ. რ. ერისთავისა.

III

ბ-ნ აღნიაშვილის ხორო იმღერებს სხვა-და-სხვა ხმას.

მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვისა, ავალიშვილისა, მელიქიშვილისა; ბ-ნნი აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, ცაგარელი და სხვ.

ადგილების ფასი საბენეფისოა

დასაწყისი 8 საათზე



„ქართულის ხორის ამხანაგობა“

**ბ-ნ იოს. ივ. რატილის**

ლოტბარობით

ამ ორის კვირის განმავლობაში გაჰმართავს

**ქართულს კონცერტებს**

შემდეგს ქალაქებსა და დაბებში: გორში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში და კულაშში.

პირველი კონცერტი გაიმართება გორში სამშაბათს, 26-ს დეკემბერს.

(8—3)


ტფილისი, 23 დეკემბერი

ჩვენს გაზეთს არა-ერთხელ ჩამოუგდია საუბარი მასზედ, რომ საერთო ევროპასა და საკუთრივ რუსეთში ლაპარაკი აქვთ მოზარდ ყმაწვილების დაქანცვის გამო მეტის-მეტ სწავლებისაგან სკოლებში. რუსეთში ამ საგანზედ დღეს აქამომდე მარტო ჟურნალ-გაზეთობა იღებდა ხმას და თვითონ სწავლა-განათლების სამინისტროც ყურს არ იყრუებდა. ზოგიერთი საბუთია ვსთქვათ, რომ თვით სამინისტროც ცოტად თუ ბევრად ჩაუფიქრდა ამ საგანს, რომელსაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს მერმისისათვის, რადგანაც მერმისის ავ-კარგიანობა დამოკიდებულია მასზედ თუ — დღევანდელი დღე რა მოღვაწეებს, რა კაცებს გაუზრდის.

დღეს აქამომდე, როგორცა ვსთქვით, მოზარდ ყმაწვილების დაქანცვის თაობაზედ ლაპარაკი იყო მარტო ჟურნალ-გაზეთობაში და თვითონ საზოგადოება-კი ამ საგანზედ ხმა-ამოუღებელი დარჩა. ხოლო ჟურნალ-გაზეთობის ღვაწლმა, როგორცა სჩანს, ამაოდ არ ჩაიარა. რუსეთის გაზეთი „Русскія Вѣдомости“, რომელიც ჩვენ სხვა გაზეთებზედ უფრო უკეთესი, ჭკუა-დამჯდარი და გონება-დაკვირვებული გვგონია, გვაცნობებს, რომ თვითონ რუსეთის საზოგადოებამაც თვალი ახილა ხსენებულ საგანზედ და საჭიროდ დაინახა კანონიერის გზით ამ დაქანცვას მოზარდ-ყმაწვილებისას ეხლანდელ სკოლებში წამალი რამ დასდოს.

ქალაქს ორიოლში ამ ხანებში საგუბერნიო კრება ყოფილა თავად-აზნაურებისა. ამ კრებაზე ბ-ნს ს. ს. ბახტეევს წაუკითხავს თავისი მოხსენება შესახებ იმისა, რომ ჩვენს გიმნაზიებში ჩვენი შვილები იქანცებიან მეტის-მეტ ჯაფისაგან, რადგანაც ვერ ასდიან და ღონეს ზედ ალევენ ურმათათვის აუტანელს მეტის-მეტს სწავლასა. ბ-ნს ბახტეევს უთხოვნია კრებისათვის ამ საგანს გულ-დადებით და ჭკუა-დასმით ჩაუფიქრდნენ, რადგანაც იგი შეეხება სვე-ბედსა მთელის მომავალის თაობისას. აუწერია რა აწ არსებული წესი სწავლებისა გიმნაზიებში და მისი უვარგისობა სხვათა შორის უთქვამს: „იმ დღიდამ 1872 წ., რა დღიდამაც გერმანიიდამ მთლად გადმოღებულ იქმნა ჩვენს გიმნაზიებში აწ არსებული წესი სწავლებისა, ჩვენი სკოლა გვაძლევს გულ-ჩაცვივნულ, ჭლექს კაცებს, ძარღვ-მოშლილებს, ხერხემალ-გამრუდებულებს და გონებით ბრწყინვალეს-კი არა, არამედ ჭკუითა და გონებით სუსტსა და უღონოსა“.

ბ-ნს ბახტეევს უჩვენებია ამისი დასაბუთებული მიზეზიც. მიზეზად განსაკუთრებით ის დაუსახავს, რომ ბავშვები იქანცებიან გასაკვეთების სწავლებითა და ამ სწავლებით არაქათი უწყდებათ, რადგანაც გასაკვეთები აუარებელია და ბავშვის ღონისა და აგებულებისათვის შეუწონელი და აუტანელიო. ბ-ნს ბახტეევს უჩვენებია რა ყოველივე ეს, სარჩიელი მიუცია კრებისათვის ვსთხოვოთო მის იმპერატორების უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს შესუბუქება სწავლებისა გიმნაზიებში. „მოვახსენოთ ეს ჩვენი გულის-ტკივილიო, დაუმატებია ბოლოს ბ-ნს ბახტეევს: საკმაოა მარტო მივმართოთ ჩვენს მართლმოყვარე მონარქსაო და იგი უარს არ გვიბძანებს ჩვენს უუქვეშევრდომესს თხოვნაზეო“.

როცა ბ-ნმა ბახტეევმა დაასრულა თურმე თავისი სიტყვა, კრების დარბაზში გაიხმაურა „ბრავო“-მ და ზედ მოჰყვა ერთიანი გრიალი ტაშისა. კრებას ერთობილად დაუდგენია: „სარჩიელი ს. ს. ბახტეევისა მიღებულ იქმნას და მას, ბახტეევსვე, მიენდოს შეადგინოს პროექტი უუქვეშევრდომესის ადრესისა“.

«Русскія Вѣдомости»-ებს ამ საგანზედ მშვენიერი მეთაური ჰქონდა. ამ მეთაურში ამ გაზეთმა სხვათა შორის ინატრა, რომ სხვა გუბერნიებიც ესევე მოიქცნენ. დღევანდელ დღეს მოსულმა დეპეშამ კოსტრომიდამ გვაუწყა, რომ ეგევე საგანი იქაურ საგუბერნიო კრებას თავად-აზნაურობისას განუკითხავს და დაუდგენია იშუამავლოს მთავრობის წინაშე რათა შემოკლებულ იქმნას გიმნაზიებში სწავლება ძველის ენებისა. ამ ოთხისა თუ ხუთის წლის წინად იგივე ითხოვა ჩვენებურმა საგუბერნიო კრებამ თავად-აზნაურობისამ — როგორც ვხედავთ, დღეს რუსეთშიაც ყურადღება მიუქცევიათ და დაძრულა სურვილი, რომ ამ მხრით ეწამლოს რამ დღევანდელის სკოლის ავ-კარგიანობას. საგანი მეტად დიდის მნიშვნელობისაა, იმიტომ-რომ სწავლების კარგად წარმართვაზე დამოკიდებულია არამც თუ სვე-ბედი მარტო მომავალის თაობისა, არამედ სვე-ბედი თვითონ ქვეყნისა, ...

---

# ფელეტონი

## ბედკრული ეკატერინე

(საშობაო მოთხრობა)

შობის წინა ღამე იყო. დეკემბრის ქარს ზუილი გაუდიოდა და ორად ჰკუნტავდა ქუჩაში გამვლელ-გამომვლელს, მაგრამ სიცივეს არავინ ეპუებოდა და ქალაქში დიდი მოძრაობა იყო. დუქან-ბაზარი გაჩაღებული და სხვა-და-სხვა ხორაგეულობით გამოტენილი იყო. მედუქნეები ფაცა-ფუცით, შეუყენებლივ სწონავდნენ ნავაჭრს და მაინც ვერ ასდიოდნენ დიდ ძალს მუშტარს. დიდი და პატარა, ღარიბი და მდიდარი მიეშურებოდა ბაზარში, რომ ხვალინდელს დღეს, შეძლებისა დაგვარად, რიგიანად დაჰხვედროდა.

დედაკაცები აივნებზე ჰბერტყდნენ საფენს, ჰგვიდნენ კარ-მიდამოს, საჩქაროდ ჰკრეფავდნენ სარეცხს, უკანასკნელს ღილს აკერებდნენ საშობაო ტანთსაცმელს.

ერთ ვიწრო და ჭუჭყიანს ქუჩაში, ფრანგების უბნის დაახლოვებით, ხელის-ოდენა ეზოში ათამდე მდგმური ფუსფუსებდ.

— ქა, თალიავ, ცოტა იქით გაიქნიე ხალიჩა, ხახა მტვრით გამომიტენე, — ამაყად უთხრა ნენემ თავის მდგმურს და გაფენილ სარეცხს დაუწყო კრეფა.

— სადღა ჯანაბას წავიდო, შე დალოცვილო! შენი მშვენიერი ეზო მეტი-კი არ არის და თაროს თავს ხომ არ დაიბერტყავ ერთის წლის გამტვერიანებულ ქვეშაგებს.

— მშვენიერი რატომ არ არის, დედავ და თვალო, მშვენიერი თუ არ არის, შენ რად მოხვედი ჩემთან, მე ხომ არ დამიპატიჟნიხარ. სადაც მშვენიერი იყოს, იქ წაბრძანდი, უკან-კი არ გამოგყვე! აგერ მეორე თვეა და შენგან ქირა ვერ გამომიტანია.

— ოჰ, ოჰ, ქირა, ვინ იცის, ათი თუმანი იქნება, სულ ოთხი მანათი არ არის. ხვალვე თავში გახლი. მაგისთვის-კი ბატონად არ გაგიხდი.

— დახე ამ უცნაურს, რეებს მეუბნება! ქა, შე თვალებ-დამდგარო, სხვა რომ არა იყოს-რა, ათის წლით ალარა ვარ შენზედ დიდი?!

— თვალებ-დამდგარიცა ხარ...

— რა დროს ჩხუბია, ადამიანებო, ხვალინდელ დღეს მაინც პატივი ეცით, სიცილით უთხრა ნენემ, რომელიც ჩაკუნტული ჭის პირას ქვაბებსა ხეხდა. რა დროს ფულის თხოვნაა, სახლი პატრონო, ნეტა იმოდენა ფული იყოს, რომ ხვალ რიგიანად გავიხსნილოთ... ქა, აგერ დიაკვნებიც მოდიან მოსალოცათ*), უი თვალებო, ჯერ სახლიც არ დამილაგებია!..

დედაკაცები საჩქაროდ ჩაჩუმდნენ და თავ-თავიანთ ოთახებში შეცვივდნენ.

დიაკვნებმა მთელი ეზო ხუთ წამში მოიარეს და ალაყაფის კარებთან ერთ მიკეტილ ოთახის კარებში შესდგნენ. ეკატერინე სად წაბრძანებულა? ჰკითხეს დიაკვნებმა სახლის პატრონს, რომელიც თავის ოთახის კარებში იყო გამომდგარი.

— სად წაბრძანდებოდა, შვილო, აგერ ათი წელიწადია ჩემი მდგმურია და სიონის იქით ფეხი არსად გაუდგამს. უთუოდ დაიძინა.

— რა დროს ძილია, შე დალოცვილო, სიცილით მიუგეს დიაკვნებმა სახლის პატრონს: ჯერ ქათამიც არ შემჯდარა ქანდარაზედ.

ამ ლაპარაკზე მდგმურებმა ისევ თავი გამოჰყვეს ეზოში.

— ადამიანო, პირზედ თითის დადებითა სთქვა სოფიომ: განა არა, დღეს რომ „ათ-თორმეტზედ“ არ წავიდა, გამიოცდა, მინდოდა შემეხედნა, ავად ხომ არ გახდა - მეთქი, მაგრამ ისე გავები საქმეში, რომ სულ გადამავიწყდა.

— დედაშვილობამ, არც წუხელის აუნთია სანთელი! დაუმატა ქალიამ.

ერთი აყალმაყალი და ღრიანცელი ასტყდა, კარებს მიაწვნენ და კარი შიგნიდგან მაგრა იყო მოკეტილი. ვიღაცა პოლიციელთან გაიქცა: გატეხეს კარი, შეანათეს სანთელი და საზარელი სანახავი დაინახეს მეზობლებმა: ლოგინზე გაშეშებული იდვა ეკატერინე და საზარლად დაჭყეტილი თვალები ჭერში ჰქონდა მიქცეული. ცალს მკლავზე გახდილი ჰქონდა ტანთსაცმელი და ცალს მკლავზე-კი ისევ ეცვა. მარჯვენა ხელით მაგრა მოეჭირა პერანგის გული-პირი და თითქო გულის ცემის შემაგრებასა სცდილობდა. ყველამ პირჯვარი გადიწერა და გამოვიდნენ გარეთ.

ქონის სანთლის ნამწვი მკრთალად ანათებდა საბრალოს სადგურს. პატარა ჭუჭყიანი ოთახი დაბალის ჭერით და ნესტიანის კედლებით სუფთად იყო მილაგ-მოლაგებული. შუა ოთახში ძველ, ფეხებ-დამტვრეულ რკინის ფეჩზედ თავი თავს მიდებულნი ისხდნენ კატა და პატარა ფინია ძაღლი და თითქო ღრმა მწუხარებას მისცემოდნენ პატრონის ამ გვარ უნუგეშო მდგომარეობის გამო. ერთ კუნჭულში პატარა ხის ყუთზედ დედალ-მამალი ქათმები ისხდნენ და ტკბილს განსვენებაში იყვნენ. ლიტრით წყალი, ძველი ხის სტოლი და ხისავე პირ-გადაკრული ორი სკამი იყო ამ ლატაკის კაცის სადგურის მორთულობა. გარდა ამისა, ფანჯრის ფიცარზედ ეწყო ნახევარზედ გაუთავებელი ჩულქი, ძველი გაშავებული დაუჯდომელი და იმის გვერდით ალექსანდრე დიუმას რომანი „მონტე-კრისტო“, რუსულად დაწერილი. იქავე ფანჯარასთან იდგა პატარა ტახტი, რომელზედაც გადასვენებული იყო თვალებ-დაჭყეტილი, თმებ-აბურძგნული ბედკრული ეკატერინე, როგორც ამბობდნენ მეზობლები.

ბედკრული იყო მართლაც საცოდავი ეკატერინე: დაბადების დღესვე უკულმა დატრიალდა იმის ბედის ჩარხი. რა დღესაც დაიბადა, იმის დედმამას მოუკვდა ხუთის წლის ვაჟიშვილი, ეს ერთად-ერთი ძე ოთხ ასულში, და იმ დღიდგან ეკატერინე შეიქმნა დაწყევლილი და მოძულებული მთელს ოჯახში. არც ძუძუ, არც ალერ-

*) შობა ღამეს დიაკვნები, ღვთ ს-მშობლის ხატით, კარი-კარს დადიან და ულოცვენ მრევლს ქრისტეს შობას.

უნისაც, რადგანაც ქვეყნის მომავალი მომავალის თაობის კუთვნილია და, მაშასადამე, მის ხელთ იქმნება.

ჩვენ ამ საგანზედ ვრცელი საუბარი გვქონია*) და ეხლა მარტო ამ მოკლე შენიშვნასა ვკმარობთ საყოველთაო საცნობლად და გამოსაყენებლად.

## ახალი ამბავი

*** მცხეთის დედათა მონასტრის წინამძღვარმა დიდი მეცადინეობა იხმარა, რომ ხელის-მოწერით ფული ეშოვნა და გაემშვენებინა წმ. ნინოს პატარა ეკკლესია, რომელიც იმყოფება მონასტრის შესავალ კარებთან. გეგმა ამ შენობისა უკვე დამტკიცებულია. როდესაც წინამძღვარი რუსეთში ბრძანდებოდა, ინახულა მიტროპოლიტი ისიდორე, რომელსაც დიდად მოსწონებოდა აზრი წინამძღვარისა და აღუთქვა დახმარება ხუთასის თუმნით. როგორც შევიტყეთ, ეს ფული უკვე მიულია ამ დღეებში წინამძღვარს. ამბობენ, სულ ათას თუმნამდე მოუწერიათ ხელი სხვა-და-სხვა კაცს. ეხლა საზოგადოებაში ავრცელებენ ცრუ ხმებს, ვითომც წინამძღვარს განეზრახოს დააქციოს ძველი ეკკლესია წმ. ნინოსი და იმის ადგილზე ააშენოს ახალი. ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ ასეთი განზრახვა სრულიად არავისა აქვს. ეკკლესია დარჩება ხელ-უხლებლად, როგორც წმინდა ნაშთი ძველის დროებისა, მხოლოდ გარშემო უნდა აუშენონ დიდი ეკკლესია. ძველი შენობა, როგორც გეგმიდამა სჩანს, მოჰყვება შუაზე და იქმნება ტრაპეზად ახალის ეკკლესიისა წმ. ნინოს სახელობაზე.

*** ბედნიერ დღეებისათვის პოლიციას გადასცა საქველ-მოქმედო საზოგადოებამ ფულები დასარიგებლად იმ ღარიბთა, რომელთაც თხოვნა მიართვეს ბ-ნს მთავარ-მართებელს. დღეს მოწვეულნი იყვნენ პოლიციაში ღარიბნი და მხოლოდ იშვიათს უთხრეს უარი დახმარებისა. თითო მათხოვარს ორ-ორი მანათი დაურიგეს.

*** პროფესორ ალ. ცაგარლისაგან „წერა-კითხვის საზოგადოებას“ მოუვიდა წერილი და ატყობინებს, რომ პეტერბურგის დიდ-კაცობაში ბევრნი არიან მსურველნი გ. ქართველიშვილის მიერ გამოცემული „ვეფხის-ტყაოსანი“ შეიძინონ. პროფესორს ჯერ-ჯერობით ამ წიგნისა ხუთი ცალი დაუბარებია.

*** ალექსანდროპოლი (გუმბრი); ჩვენ გვეწვია „ინფლუენცია“. ბევრნი არიან ავად ამ ახალი მადლის სენით. ექიმები ავადმყოფების წამლობას ვეღარ ასდიან. უფრო ბევრნი არიან ავად ყაზარმებში, სასამართლო და საადმინისტრაციო დაწესებულებაში, ფოსტა-ტელეგრაფის სადგურში და სხვ. ჩვენ ქალაქში საშინელი სიბინძურე ჰსუფევს. ქალაქმა ითხოვა, რომ თვით-მმართველობა შემოიღეთ ალექსანდროპოლშიო. გუბერნატორი ერევნისა დაჰპირდა ალექსანდროპოლელებს და, თუ იმისი დაპირება აგვისრულდა, იქნება მაშინ მაინც ველირსოთ სისუფთავეს ქუჩებისასა და სახლებისას. წელს ძრიელ კარგი ზამთარია აქეთ, არც ქარებია და არც ბუქი. ერთხელ მოვიდა ნახევარ ადლი თოვლი, გაჰყინა და მერე სულ მზიანი დღეები დაიჭირა. ხორაგეულობა საკმაოდ იაფია და შეშაც არ იყო ძვირი.

*** სოფ. წინ-წყარო (ტფილისის მაზრა): დიდი ხანია ჩვენკენ ბოროტ-მოქმედება არ მომხდარიყო. ხოლო ამ ქრისტიშობის თვეეში ვიღაც ავმა კაცმა წაუკიდა ცეცხლი ჩვენის მამასახლისის სათივეს და სულ მთლად გადაუწვა 50-მდე ურემი თივა. ამ საქმის შესახებ ფიცხელი გამოძიება სწარმოებს.

*** ზაქათალის მაზრა: „ახალ მიმოხილვასა“ სწერენ: ჩვენც გვესტუმრა ინფლუენცია. თითქმის არც ერთი სახლი არ არის, რომ ავადმყოფი არ იყოს. სოფელს ილირაში სცხოვრობს ერთი ლეკი, რომელსაც, როგორც თითონვე ამბობს, ასზე მეტი დაცოცხლი კაცი მოურჩენია 15 წლის განმავლობაში. ამ უკანასკნელს ხანში რამდენიმე ბოროტ-მოქმედება მოჰხდა. მაგ. ბელაქანში მოჰკლეს ერთი ვაჭარი სომეხი, მუღანლოს გზაზედ იპოვეს ერთი თუშის ცხედარი, ქალ. ზაქათალაში გაჰქურდეს ისმიხანოვი და სახლიდამ სულ გაიტანეს, რაც-კი რამ ებადა. სოფ. ალიბეგლოში გასტეხეს ეკკლესია და გაიტანეს სასანთლე და ყულაბიდამ ორი კაპ.

*** 22 დეკემბერს ორდუბათის მაზრის მცხოვრებელმა მაჭმედ ასმეტოვმა მოჭჭარა ორმოცის მანეთის სხვა-და-სხვა ავეჯი შადინოვის სახლში მდგმურად მყოფს აქტიორს ფატეევს. დამნაშავე და მოპარული ავეჯი სასამართლოს გადასცეს.

*** ამავე დღეს ქალაქის მკურნალმა მრევლიშვილმა პოლიციელების თანადასწრებით დაათვალიერა მერვე ნაწილის საპურლისა და თევზის სავაჭრო დუქნები, პურის საცხობი და ტრაქტირები. ერთს მეპურეს უპოვეს რვა გამოუმცხვარი პური და გაუგზავნეს მეტეხის ციხის პატიმრებს გასახმობად და სუხრად სახმარებლად. აგრეთვე ერთს ტრაქტირში იპოვეს მოუკალავი ჩაის წყლის სადუღებელი ქვაბი. ამ უწესოების მოსასპობლად ღონისძიება მიღებული.

### წერილი რედაქციის მიმართ

მადლობას ვუძღვნი ქ ნ ან. თაყაიშვილისას, ნ. თაყაიშვილს გ. გოგოლაშვილს და აგრეთვე ე. ლომიკარისას, რომელთაც დიდი შრომა მიიღეს და გამართეს კონცერტი ოზურგეთში 6 დეკემბერს 1889 წ. ბ-ნ ან. კონტრიძის ლოტბარობით, ლიხაურის სკოლის ღარიბ შეგირდების სასარგებლოდ.

ლიხაურის სკოლის მასწავლებელი
თ. გ—ძე

### გლეხური ლექსები

სანადიროთ წასულიყავ,
მოგეკლა მტრედი, გვიძინი;
უფალმა ღმერთმა გიჩვენოს
შენის შვილების გვირგვინი;
იმათ ქალნი უხაროდე'თ,
მე სმა, ქეიფი, ღიღინი.

—

ქალო, შენსა დერეფანსა
ბოძს შეუდგამ, არ წავაქცევ...
შენი ქმარი ასეთია,
შეუბერავ, გადავაქცევ.

—

მე ბანის ბანად გეძებდი,
შენ დერეფანსა გეძინა;
ოქროსი ღილი გაგეხსნიყო,
ძუძურა მკერდი გეჭირა.

—

ობოლი მარგალიტი ხარ,
ფერსა ვერ გიცვლის ზამთარი;
თუ გძულვარ, თავსა მოვიკლავ,
შემომითვალე მართალი.

—

ყელი ბროლი, მარგალიტი,
ალმასისგან გაითლება;
ჩემი გული, შენგნით მკვდარი,
თუ გინდივარ, გაიშლება.

—

პატარა ხარ, ეგრეთი ხარ,
გაიზდები, რა იქნები!
შენ—ბატონი მწყალობელი,
მე—ერთგული ყმა ვიქნები.

—

წუთი-სოფელმა დღე ჩემი
სიმწარე დამალევინა,
არც მამკლა, არც დამარჩინა,
არც სული დამალევინა.

სიკვდილი არის მურაზი,
არ მიუწვდება გონება;
შიგ გამოარჩევს ვაჟკაცსა,
რომელიც მოეწონება.

—

აზნაურობა გაუშვი;
თოხი მოუსვი ახოსა;
მალ-მალე ავიხედავდი,
არავინ დამინახოსა.

—

ვაჰ, სიკვდილო, შენი ჯავრი,
რომ მძინარე შემარხიე;
სამი ადლი ტილო მამე,
თავს სუდარა მამახვიე!

—

ხუცესი იყოს მამაცი,
არცა ჯაბანი, მხდალია;
ხუცესმა უნდა დამარხოს,
კაცმა თუ სული დალია.

—

კაცი უნდა მართლის მთქმელი,
რომ ტყუილი არ ერიოს;
უნდა ღმერთი მოიგონოს,
კაცი რომ კაცს მოერიოს.

—

ციდამ წამოვა ღრუბელი,
თავთაქვე დაეკიდება;
კაცი რომ თავისთავს უზამს,
მტერი არ მოეკიდება.

—

გუთნი-დედას რა აცხოვნებს,
რომ არ შევა საყდარშია!
კაი დარში თითონა ჰხნავს,
მეხრეს უხნავს აედარშია.

—

დიდს დღეში ცხონებულია
ვენახის დამკავებელი...
პატარა იყო ტიკჭორა,
მოუკვდეს გამტყავებელი.

—

ადექ, მარეხო, ვარსკვლავო,
ეთერსა კარი უარე;
თუ გკითხოს ჩემი ამბავი,
დაჯექ და წერილად უამბე.

—

რა თავი გამოგიდვია
ნიახურის ფოჩივითა;
მუცელი გაგსიებია
გაზაფხულის გოჭივითა.

—

შენ, ქალო, აგრე თეთრი ხარ
როგორც საყდარში კირიო;
თვალ-წარბში გამოხატულო,
მთვარეს მიგიგავს პირიო.

(გაგონილი სოფ. ქვემო ხოდაშენში და ჩაწერილი ვანო გომელაშვილის მიერ)

ყველამ კარგათ მაიხსენეთ:
შაიბრძოლნენ მზე და მთვარე.
შამოუთვალა მთვარემა:
„ოცდა ცხრა დღე ვიმუშავე
და მეათეს გარდეიცვალე“.
ახლა მზემ შამოუთვალა:
„როგორ პირი წაიჭამე,
რაც რამ სიკეთე მომხდარა,
სულ შენ თავზედ დაიბრალე.
სამი დღე და სამი ღამე
რომ არ იყავ, დაიმალე,
მეოთხე დღესა გამოსჩნდი,

---

*) იხ. „ივერია“ 1888 წ. №№ 92, 93 და 94.

---

სი თავის მშობლისაგან არა ჰქონია რიგზე.

— თვალი-კი დაგიდგა, თვალი, ეტყოდა ხოლმე დედა გაიანე გაჯავრებული ეკატერინეს: გამინებივრდი, შენმა მზემ, მშვენიერ დღესა ხარ დაბადებული. მუცელში გაწყალებულიყავ, შე ბედკრულო, რომ დედაშენს შენ გაჩენის დღეს არ დასდგომოდა თვალები?

ზედგინიძიაანთ ოჯახი, საცა დაიბადა და გამოიზარდა ეკატერინე, ერთი მცირე აზნაურის ოჯახთაგანი იყო, რომელიც უმამულოდ დარჩენილა, ქალაქს შემოჰხიზნებია და დღიურს ლუკმას დიდის გაჭირებით შოულობს. დავით ზედგინიძე, ეკატერინეს მამა, სხვა-და-სხვა ქალაქში მდგომ თავადიშვილების კარს იყო და იმათ სუფრის მონარჩენებით არჩენდა თავისს კარგა მოზრდილს ოჯახს. ეკატერინეს გარდა, ჰყვანდა სამი ქალი, ორი ბებერი გაუთხოვარი და ტუზარიკი ავ-გული ცოლი, რომლის ყბა თავის დღეში არ დასდგებოდა, დილიდგან საღამომდე სტუქსავდა შვილებს, აყვედრიდა ლუკმას მულებს და ძმარს აწვეთებდა ქმარს, რომ შენი ცოლი ვარ და ისე ვერ გამოვსულვარ ეკკლესიაში, როგორც სატახტო აზნაურშვილის ცოლს შეეფერებაო.

— ქმარი, ქმარი! რა ქმარი? გაჰკიოდა გეზელ ქორივით: ისევ სიქეროვე არ მირჩევნიან! მეცოდინება მაინც, რომ ჩემის თავის ანაბარასა ვარ და იმედი აღარაფრისა მექონება. ამოდენა ხნის დედაკაცი ვარ, ერთის, ნაცვამი რა არის, ნაცვამის ხავერდის ქათიბის ყიდვაც ვერ მეღირსა.

კვირა-უქმით რომ ეკკლესიაში შევდივარ, ბუწუწები მკვივა სირცხვილით. სხვის ქალი და რძალი მორთულა, ხავერდებსა და აბრეშუმებში გახვეულან და მე კი გახეხილი, დალაქავებულ ატლასის კლოკითა ვარ. ჰო, მეხი-კი დავაყარე შენისთანა პატრონს, ჰო და აი.

— სუ, დედაკაცო, დამშვიდდი, ეტყოდა ტკბილად დავითი გაავფთრებულ გაიანეს: ღმერთმა ხომ იცის, ჯანს არა ვზოგავ, როგორც მეძებარი ძაღლი დადის, ისე დავწანწალებ მთელი დღე სხვის საქმეებზე. თვალსა და წარბში შევცქერი ყველას, ეგები ვასიამოვნო რამე და ჩემი ცოლ-შვილი მომატებულის ლუკმით გავახარო-მეთქი, მაგრამ ხომ ჰხედავ, მეტი არ შემიძლიან.

— კიდეც მაგასა ვჩივი, რომ არაფერი არ შეგიძლიან! რასაც გიწყალობებენ, ის არის. სიტყვის თქმა არ შეგიძლიან, სილუყვისა. ლეჩაქი უფრო შეგშვენის შენ, ლეჩაქი, უჯიროო!..

სამი უფროსი ქალი დედის მხარეს იყვნენ და ისინიც ოჯახის მტარვალებად ითვლებოდნენ. ეკატერინე, დავით და მამიდები ყოველთვის დაჩაგრულები იყვნენ ამათგან და ხმა ამოუღებლივ ეწეოდნენ ჭაპანს. მეტადრე ეკატერინე, როგორც უბედურს დღეს დაბადებული, მომატებულად განწირული იყო ყველასაგან. მამიდებიც-კი ამაზედ იყრიდნენ რძლის ჯავრს და წამ-და-უწუმ აგრეხდნენ ტოლცებს და უტუტუნებდნენ: შე ძაღლის ლეკვო, შე წუწკის ნაშობო, შენაო!

ეკატერინე იზრდებოდა, ან, უფრო სიმართლე იქნება რომ ვსთქვათ, არ იზრდებოდა; წლითიწლამდე სხვა ბაშვებივით ტანს არა ჰყრიდა: რაც რვა წლამდის ტანი აჰყარა, ის იყო და ის. პატარა, გალეული, უშნო, წირპლიანის თვალებით მყუდროზედ მიჯდებოდა სადმე და იქ ჩუმად, უსიტყვოდ მიწას სჩიჩქნიდა ჯოხით, მანამ ვისიმე მრისხანე ბრძანება არ დაარღვევდა იმის მოსვენებას. მაშინ ეკატერინე აუჩქარებლივ ადგებოდა და შეუდგებოდა ბრძანების ასრულებას.

თავის დღეში ამ ოჯახში არავის მოსვლია ფიქრად, რომ ეკატერინესთვის ესწავლებინა ანბანი, ან სუფთა ხელ-საქმე, რომლითაც დიდად თავი მოჰქონდათ იმის უფროსს დებს და მამიდებს. როდესაც ისინი კარგებს უსხდნენ ოქრომკედით ჰქარგავდნენ საფასურით აღებულ ხელ-საქმეს, ეკატერინე ქვაბების ხეხითა და ამ გვარის საქმით უფრო იმახინჯებდა ისეც ღვთისაგან უნიშანწყლოდ გაჩენილს პირი-სახეს. იმისი ტანისამოსი ყოველთვის გრძელი და განიერი იყო, რომელისამე დის ნაცვამი, გახუნებული კაბა. კუჭიც-კი ყოველთვის მაძღარი არა ჰქონდა, აქა-იქ ჩუმად თუ ჩაიდებდა ლუკმას პირში, თორემ საოჯახო სუფრაზედ ვინ მისცემდა იმას ალაგს.

ასე და ამ რიგად უფერულად მიდიოდა ეკატერინეს სიყმაწვილე, მაგრამ არც შეღერების დროს გაუღიმა ბედმა. ერთად-ერთი ამხანაგი და თანამგრძნობელი მამა მოუკვდა, ოჯახი უფრო გაჭირებაში ჩავარდა და გაიანეს სიბოროტემ უფრო იმატა. მამიდები აქ-იქ ნათესაობაში გაიკრიფნენ, უფროსი დები გათხოვდნენ და მარტო ეკატერინე-და შერჩა დედას თავის გულის საჯერებლად:

— მეხი-კი დაგეცეს, მეხი, მაგ უბედურ თავში, ეტყოდა ხოლმე გაიანე ქალს, თუ მოასწრობდა როდისმე ეკატერინეს სარკესთან, ან პირის ბანაზედ: მოიპრანჭე, შენმა სიცოცხლემ, ქსნის ერისთავი მოვა შენ მოსატაცებლად. აიღე ეს ხალიჩა, გაბერტყე, მტერით სავსეა, ის უფრო კარგი ფერუმარილი იქნება შენის დურმიშხანა პირი სახისათვის.

ტვრამეტ-ცხრამეტის წლის ქალი გახდა ეკატერინე. თუმცა იმის მოწირპლული თვალები სრულიად არ გაწმენდილა ამ შეღერების დროსაც, მაგრამ შეთქვირებული, ასაკში მოსული ქალი გახდა და თავისი საფერი მიჯნურებიც გამოუჩნდნენ: მეზობლად მდგომი ბაზაზი ნიკო ჭონაძე და ივან ივანიჩ ივანოვი, როტმისტრი და კავალერი, როგორც ის უწოდებდა თავის თავს მაშინ, როდესაც იმის თავში ჰბრწყინავდა დუქნობით გადაკრული არყის სტაქანი.

ნიკო ბაზაზი იყო ერთი, ობოლი, ჩუმი, გამრჯელი ხელოსანი და, რასაკვირველია, გაიანემ დიდად ითაკილა იმისგან ქალის თხოვნა.

— ქა, განა რომ აზიზ-ბარუქი არ არის ჩემი ეკატერინე, იმიტომ უნდა გლეხს მივცე! გლეხს უნდა სიძე დავუძახო, ჩემს სხვა სიძეებში ჩავსვა. იმან

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან ღრუბელი დაიყოლე,
ასტეხე ჰექა-ქუხილი,
მზად მოსული მოსავალი
უმადურად ჩაატარე.

---

## სადღეგრძელო.

(ასე დაილოცება ხოლმე ერთ-ერთი მაყარი გლეხის ქორწილში)

I

ნეფე, ღმერთმა გადღეგრძელოს,
მოგცეს ღმერთმა ბედი კარგი,
ბევრი ხნა და ბევრი სთესო,
არა გქონდეს გულში დარდი...
მარჯვენით გაცემულობზ
პირზედ მოგდიოდეს ვარდი;
სამოთხისა კლიტე გქონდეს,
ქვეყნის სანატრელი ფარდი!..

II

დიდება ღმერთსა,
დიდსა მოწყალესა;
ღმერთო დღეგრძელობა მიე
ნეფე-დედოფალსა;
ნეფესა და დედოფალსა,
სახე მშვენიერსა,
წყვილი ვაჟი შვილი მიე
საწლეულო წელსა;
თუ რომ ჩვენთვის კარგი უნდა
ქვეხასა და ღედელსა,
ოჯახობა დაუქციე
ამ ჩვენ ნეფის მტერსა;
იმათი ცხვარი და ღორი
დააჭმიე მგელსა!..
ნეფევ, ბადია ამივსე,
მომაწოდე ხელსა;
საჩუქარი გაუჩინე
ნეფის დამლოცველსა!..

(კონდოლში გაგონილი)

ამ ძაღლსა მელეჩიშვილსა
უქებენ ხელსა, ფეხსაო;
შემკობილობა უხდება,
თოფი-იარაღი წელსაო.
კისერი ბუღას მიუგავ,
თვალებიც უგავ წყერსაო.
დაღისტანი დაიბარა,
წინ მოუძღოდა ლეკსაო.
ყვარელში ჩემეესია
ფერი-ცვალობა დღესაო:
ყვარელი დაწო-დადაგა,
მკვდრებს ვერ უქცევენ ფეხსაო.

ქალი და რძალი არჩია,
გადაუყენა მთებსაო;
სულ ფეხშიშველა წაასხა,
ქოშიც არ ეკრათ ფეხსაო.
ერთ სასახლეში შარეკა
შვიდ ღამესა და დღესაო..
ე ძაღლი მელეშიშვილი
სიტყვას ამბობდა ძნელსაო:
საბელადოში ავიყვან,
შიგ ამოვარჩევ ერთსაო.
შავიდა, გამოარჩია,
ღამეს ანათებს ბნელსაო.

—

ქალმა სთქვა, ძუძუ კოკობმა:
ნუ გამათხოვებ, დედაო;
თუ მიმცემ, იგეთ კაცს მიმე,
რომ იყოს გუთნი-დედაო.

—

მათუზალას მეძახოდნენ,
წვერი მქონდა განა ხისა;
ქრისტეს მოსვლის უწინარეს
ვიყავ ცხრაას სამის წლისა.
სოდომს ცეცხლი მოეკიდა,
დამსწრები ვარ იმ დილისა;
ენუქის და ელიასი
მარწებელი ვარ აკვნისა.
გორგალ ხემწიფი დროშია
პოვერ ვიყავ ხემწიფისა;
ნოე დროში ხურო ვიყავ,
მაშენებელ კიდობნისა.

II

(გაგონილი და ჩაწერილი სოფელ კარალეთ-ში ვასო ბიბილაშვილის მიერ)

ქალმა ვაშლი შემამტყორცნა,
ამოიღო უბიდგანა:
„ჩემეულად შეინახე,
არ გადმიგდო გულიდგანა“.

—

სუფრავ გაშლილო ვარდი ხარ,
ჰკუავ, ჩადი გონებასა;
ერთი ნამუსი სჯობიან
ორი ათას ქონებასა.

—

ზემო ქართლელი ქალები
ლეკში ყანასა მკიანო,
აქ ისე გაამპარტავდნენ
სახლსაც არ გამოგვიანო.

ორხელა და გუთანი.

ორხელამ შემოგითვალა:

„გუთანო, პური მშიანო;
თუ გქონდეს, გამომიგზავნე,
გადახდა შემიძლიანო.“

გუთნის პასუხი

საჰრეთლით დახვრეტილი ხარ,
არ გირევია სატეხე;
მუდამ ნარბილში დასძვრები,
ერთხელ ყამირი გატეხე.
მაშინ სად იყავ, ორხელავ,
მე რომ ძევნარი გავტეხე!

—

ღმერთო, შენ გარიგებულსა
კაცი არ უნდა ჩიოდეს;
უნდა მოხნას და მოთესოს,
პური არ უნდა შიოდეს.

—

მომეწყინა მეხრეობა,
ლალვა შავის ხარებისა;
მესტვირის დაკვრა მიყვარდა,
თამაშობა ქალებისა.

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

საყურადღებო კორრესპონდენცია სტამბოლიდგან გაზ. «Новое Время»-ში დაბეჭდილი. ეს კორრესპონდენცია უმეტესად ოსმალეთის, ამ „სნეულის კაცის“, როგორც ერთ დროს ეძახდნენ და ეხლაც ეძახიან ევროპის გაზეთები, წეს-წყობილებას შეეხება. ოსმალეთს ეხლა ყველა სახელმწიფო თავზედ ხელს უსვამს და ულოლიავებს, თავისკენ უნდა მიიმხროს და მიინადიროს. ასე წარმოიდგინეთ, გერმანიის ახალი იმპერატორიც-კი, ვილჰელმ II, ამ «ლოლიაობის» პოლიტიკას დასდგომია. მაგალითებრ, გერმანიის იმპერატორს უკანასკნელად ოსმალეთში ყოფნის დროს სადილზედ სულთანმა პაპიროზი შესთავაზა თურმე. იმპერატორმა ეს პაპიროსი სათამბაქოეში შეინახა, სახსოვრადა მქონდესო, და იმის მაგიერ მეორე მოსთხოვა. რაღა თქმა უნდა, რომ ამ ამბით სულთანი ცას არის დაწეული. ახირებული გემოვნება გამოუჩენიათ ოსმალებს წარმოდგენების შესახებ. აი რას ამბობს კორრესპონდენტი:

სულთანს აქვს სასახლეშივე თავისი საკუთარი სცენა, სადაც იშვიათად წარმოდგენებსა ჰმართავენ მიწვეული არტისტები. ყოველ წარმოდგენის გამართვა ერთ ხათაბალასა და დავიდარაბას გამოიწვევს ხოლმე. წარმოსადგენი პიესა გადაეცემა ხოლმე ობერ-ცერემონიმეისტერს, რომელიც გულ-დადებით კითხულობს და სჩხრეკავს. იმათის აზრით, სცენაზედ ყველაფერი მართებულად უნდა სწარმოებდეს, პიესა შინაარსით არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ოსმალურს ზნეობას. პიესაში ყმაწვილის ქალის შეყვარება, და მეტადრე სხვისის ცოლისა, შეუძლებელია, და ცთუნება და მოტაცება ხომ მომაკვდინებელი ცოდვაა. სასტიკად არის აგრეთვე აღკრძალული შეთქმულობა, არეულობა, სამხედრო აშლილობა. ამის გამოისობით პიესას ჰკრეჭენ, ფრთებს აჭრიან, სცვლიან და ისეთს დღეს დააყენებენ ხოლმე, რომ თვით დამწერიც ველარ იცნობს.

ოსმალნი საშინელი პატრიოტები არიან და სულთანის მიერ შეკვეთილს სურათებსაც-კი ცენზორები ჰსინჯავენ, რომ ოსმალთა პატრიოტულს გრძნობას ყოველ მხრით აკმაყოფილებს თუ არა სურათიო. მაგალითებრ,

ამას წინად მიიწვიეს სამხედრო სცენების მხატვარი, რომ წარსული ომები დაეხატა, მაგრამ სულთანს არ მოეწონა, რადგან პირველსავე იმისს სურათზედ ოცამდე ოსმალო იყო მკვდარი დახატული, და ამიტომ მეორე მიიხმეს. ეხლანდელს სურათებზედ პლევნასა და შიპკასთან გროვა-გროვა აწყვია დახოცილ რუსთა გვამი, ოსმალები-კი ფეხზე დგანან და ძლევა-მოსილად აუყელყელებიათ კისერი... ამბობენ, ასეთივე პატრიოტული გემოვნება ჰქონდა აბდულ-აზისსა, რომელსაც მეტის-მეტად უყვარდა მამლების ძიძგილაობა. ამასთან ყოჩაღი და ძლიერი მამალი ყოველთვის ოსმალეთს წარმოადგენდა, სუსტი-კი—რუსეთს. ერთხელ ოსმალეთად წოდებულმა მამალმა რუსეთად წოდებული სამჯერ დაამარცხა, სულთანს აღტაცებისაგან ცრემლები მოადგა თვალებზედ, მიუალერსა მამალს, ჩამოართვა ერთს კარის-კაცთაგანს მესამე ხარისხის მეჯიდიე და ბრძანება გასცა, რომ მაგ გამარჯვებულს მამალს ჩამოჰკიდეთ კისერზეო,

როგორცა სჩანს, არაფრადა სწყალობენ რუსეთს საზოგადოდ და რუსებს კერძოდ ოსმალეთში.

**

მაგრამ რა ოსმალეთი, იმ სიშორეზედ სიარული რაღა საჭიროა, როცა აქვე, ბალტიის იქითა მხარეშიაც, რუსების მზეს არა ჰფიცულობენ. ამ მხარეს რუსოფობია სწორედ ინფლუენციასავით არის მოდებული. აი ერთი ამბავი, იმავ „Новое Время“-ში მოყვანილი, იმის დასამტკიცებლად, თუ რა სიძულვილით უყურებენ ბალტიის იქითა მხრელნი რუსებს:

რიგას ახლო პასტორი გრ. ერთმა მდაბიო ოჯახმა მიიწვია ყმაწვილის მოსანათლავად. პასტორმა ხვეწნა-მუდარა შეისმინა და წავიდა. ყმაწვილი მონათლეს და პასტორმა პირსახოცი მოითხოვა თურმე ხელების გასაწმენდად. მიუტანეს პირსახოცი, რომელიც, ესტების ჩვეულებისამებრ, წითელის სახეებით იყო შემკული. პასტორმა გადისროლა პირსახოცი და სთქვა: „ეს პირსახოცი რუსულ ყაიდაზედ არის მოქსოვილი და ამითი ხელებს არ შევიწმენდო“ ყმაწვილის მშობელი იძულებული შეიქმნა თურმე სხვა პირსახოცი მოეტანა და იმითი შეეწმინდინებინა ხელები.

რუსული გაზეთები, რაღა თქმა უნდა, ხეირს არ აყრიან არც ამ პასტორსა და არც სხვებს, რუსების მოძულეთ, და თავისის ბასრის კალმებით სულ ჭექა-ქუხილსა სტეხენ.

---

## წვრილი ამბები

გამოჩენილს რომანისტს ჟულ ვერნს ამას წინად „Pall-Mall Gasette“-ს კორრესპონდენტთან ლაპარაკი ჰქონია და უთქვამს, რომ ამ უკანასკნელს 37 წლიწადში ყოველ წლიწადს ორ-ორს რომანსა ვწერ, ასე რომ სულ 74 რომანი მაქვს დაწერილი. იმედია, 37 წლიწადზედ ნაკლებს აღარ ვიცოცხლებ და 74 რომანს კიდევ დავწერო.

— ბულანჟეს დასისას ლორს თავისს ამომრჩევლებისათვის შემდეგის მოკლე და მკაცრის სიტყვებით მიუმართავს: „პალატამ ჩემი არჩევანი უარ-ჰყო და ამით აღიუული გაგაწნათ. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენც აღიუულითვე უპასუხებთ“.

---

მე სიდედრი დამიძახოს, მე, გაიანეს, დიდ ზედგინიძიანთ ოჯახის რძალს?! არა, დეე ისევ ჩემს სახლში ეგდოს, ჩემი გვერდები ღრღნას. დეე ეგრე გაუთხოვარი დარჩეს და ჩემს გვარეულობას-კი გლეხის სიძეობით არ შეარცხვენ.

ეკატერინეს, რასაკვირველია, დაკითხებითაც არავინ დაეკითხა, თუმცა კარგად ჰგრძნობდა, რომ პატიოსან ნიკო ბაზაზს შეეძლო მიეცა იმისათვის პატიოსანი ლუკმა და დამშვიდებული კერა.

ნიკო კარის მეზობელი იყო ზედგინიძიანთი, ჰხედავდა რამდენისამე წლის განმავლობაში ეკატერინეს ტანჯვას, დაუფერხებელ შრომას და, მადლობის მაგიერად, გაუთავებელ მის ლანძღვა-გინებას. კეთილი ბიჭი იყო, გული სტკიოდა ამ უსამართლობზე, ცოლის შერთვაც უნდოდა და თანაც მადლი უნდა ექმნა თავის ჭკაში, მაგრამ გაიანემ ისე დასტუქსა ისე შეარცხვინა იმის კეთილი განზახვა, რომ ნიკო იძულებული შეიქნა იმ ეზოდამ აყრილიყო.

ივან ივანიჩი-კი რუსის არმია აფიცერი იყო, აფიცერი იმ ძველ, წარსულის დროისა, როდესაც კიცერს სხვა არა მოეთხოვებოდა-რ გარდა იმისა, რომ სცოდნოდა როტაში სწორედ დგომა, ჯარის კაცების გაწვრთნა და ხმლის რიგიანად ხმარება. ივან ივანიჩი იქნებოდა ასე ორმოც-და-ათ წელიწადში გადაბიჯებული, ხშირად არაყის სმით მთლად გაწითლებული და ცოტაოდნად დადამბლავებული მაშინ, როდესაც დაიჭირა ერთი დაცარიელებული ოთახი იმ ეზოში, სადაც ეკატერინეს დედა იდგა.

ივანოვი გალექებული, ღიღინით და ლახლახით, შემოვიდოდა ეზოში და ხშირათ მიეხოიბოდა ხოლმე ეკატერინეს, როდესაც ეს საცოდავი შემოკალთავებული ქვაბებს ჰხეხდა ქის პირად.

— Что, дѣвка, хочешь пенсію? ეტყოდა გაჩუმებულს ეკატერინეს. მოდი ჩემთან, მე შენ შევირთავ, შენ კაპიტანშა იქნები. ბარინია! არ გინდა? თითქო ხუმრობითა და სიბრალულით ეუბნებოდა ივანოვი ეკატერინეს.

ეს სიტყვები, ცოტა არ იყოს, ჭკუაში დაუჯდა გაიანეს. „კაცი კაპიტანია, ათ თუმნამდე ჯამაგირი ექნება, რა ურიგოა, რომ წირპლიანი ეკატერინე შეირთოს“!

— მაგაზე უკეთესს საქმროს სიზმარშიაც ვერა ჰნახავ, უთხრა დედამ ეკატერინეს.

— დედა, ბებერია, ლოთია! წაიტუტუნა ეკატერინემ.

— მეხი-კი დაგაყარე, მეხი, ხმაც ამოიღე. მერე შენ ვინა გკითხავს? ნეტავი მართლა გაამართლოს თავის სიტყვები და ფეხებს-კი არ დაუკოცნი? მაშ რის იმედი გაქვს? როდემდინ უნდა მწოვო ტვინი? დღესა ვარ, ხვალ აღარა, რა უნდა ქნა ქვეყანაზედ? რა შეგიძლიან? მე შენ გთხრა, შენის დებივით ატლას-პაფთას შეჰკერავ, შე მახინჯო, შე უშნოვ, შენა! თუ ცირილობაა გაგეხუმროს, გამოგელაპარაკოს, პირი უჩვენე, შინებურად ნუ გაიცხვირები, თორემ ხომ მიცნობ?!..

მართლაც, ივან ივანიჩმა თავის ხუმრობა გაამართლა და შექე ფიანებულმა ერთ დღეს ეკატერინეს „პრედლოჟენიე“ გაუკეთა. ეკატერინემ თავი ჩაღუნა და უსიტყვოდ დედის ბრძანებას დაემორჩილა.

ორის კვირის განმავლობაში ქორწილს შემდეგ ივან ივანიჩი თითქო შემოსწყრა ღვინოს და დაუმეგობრდა ეკატერინეს. ამ ორის კვირის განმავლობაში ეკატერინემ პირველად იგრძნო, რომ ადამიანია, რომ ამასაცა აქვს საკუთარი სახლი, ლუკმა და გაიანე თავს აღარ ადგია. თუმცა კარგად არ ესმოდა ქმრის ენა, მაგრამ ჰგრძნობდა-კი, რომ უალერსებს, პატივსა სცემს, ეკითხება ავსა და კარგსა. ამ ორის კვირის განმავლობაში ეკატერინე პირველად გაიშალა წელში, პირველად დაიძინა გულიანად, მოსვენებით პირველად შესჭამა თავისუფლად, დაუყვედრებლივ ლუკმა თავისს ოჯახში. როდესაც ქმარი შინ არ იყო, ეკატერინე რამდენისამე წამით შეაჩერებდა ხოლმე ჩვეულებად გადაქცეულ ოჯახის საქმეს და ეძლეოდა ამ გასაოცარსა და ახალს ფიქრს, თუ როგორ მოხდა ეს მანქანება, როგორ განთავისუფლდა ეს დაბადების პირველ დღიდგანვე მონად შექმნილი არსება. იმის უძრავ პირი-სახეს ღიმილი მოადგებოდა ხოლმე და ხანდახან ღიღინიც უნდა დაეწყო, მაგრამ შიშით მიიხედ-მოიხედავდა და დააშურებდა თავისს საქმეს, თითქო ის იყო გაიანე წამოადგებოდა თავს და დაუშტიალებდა თავის ტარტაროზულის ჰყივანა ხმით.

მაგრამ ეკატერინეს ბედნიერება, თუ ბედნიერებად ჩაითვლება ეს ორიოდე წამი, რომელიც ბედმა არგუნა ქმრის შერთვის პირველ კვირეებში, დიდხანს არ გაჰყვა. მესამე კვირას ჯვარის წერისას, ჯამაგირის აღების დროს, ივან ივანიჩი ძლიერს შემოვიდა ეზოს კარებში და იქიდგანვე დაიღრიალა: жена!“ ოჰ, საშინელი იყო ეს სიტყვა ეკატერინეს ყურისათვის, ამ სიტყვამ სულ დაავიწყა ზედკრულს თავის ოცის წლის მონება მშობლის ოჯახში და მცირე ხნის ბედის ღიმილიც. თავმოხრილი, ფერ-მიხდილი ეკატერინე იახლა ახალს ბატონს და ხელი მისცა შინ შემოსაყვანად.

— კატირინა, გესმის, მე ვარ შენი ღმერთი! ოჰ, ღმერთი, დიახ, ღმერთი, დაიჩოქე, ადექ, დაწექ, გაიცინე, მაღლა, მაღლა! შე ინდოურო, შენა! სიცილიც არ იცი! მოდი... მაკოცე... წაღები გამხადე. მარშ! აბა: „на-пра-во! на-лѣ-во! სტოი! ხელები ჩამოუშვი!

ყოველ დღე, ყოველ წამს ეკატერინე თრთოდა, რომ ქმარი არ დასთრობოდა, მაგრამ ყოველი ღონისძიება ტყუილი იყო: ივან ივანიჩი ითრობოდა ყოველთვის, როდესაც-კი გამოფხიზლებული იყო, და გამოფხიზლებული იყო მხოლოდ მაშინ, როცა მკვდარივით ლოგინზე იდო უძრავად.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამერიკის ქალაქ პიტსბურგს, პენსილვანიის შტატში, გამოდის, გაზეთი „Pittsbourg Gazette“ რომელიც აგერ ას წელიწადზედ მეტია უკვე რაც არსებობს. ამ გაზეთის დაარსების დროსვე, 1786 წ., ვიღაც ნათანაელ მონტგომელი პირობით შეკვრა თურმე გამომცემელს გაზეთისას, რომ თქვენ გაზეთი მიგზავნეთ და მე წელიწადში, ხელის-მოსაწერ ფულის მაგიერ, ერთს ტომარა კართოფილსა და ერთსაც კარგად გასუქებულს ბატს ჩამოგიტანთო. ამ კაცს გაზეთი მისდიოდა თურმე, ვიდრე ცოცხალი იყო, მერე შვილი იღებდა გაზეთს ამავე პირობის ძალით და შვილს შემდეგ კი შვილიშვილი და შვილის შვილი-შვილი იღებს. ესეც, რაღა თქმა უნდა, ყოველ წლივ გაზეთის ფასად ერთს ტომარა კართოფილსა და ერთსაც კარგად გასუქებულს ბატს იხდიან.

— ნიუ-იორკის გაზეთები ერთს ისეთს ახირებულს ამბავს მოგვითხრობენ, რომლისთანაც მხოლოდ ამერიკელთა შორის თუ იქნება შესაძლებელი, თორემ სხვაგან არსად. ვიღაც რკინის გზის მატარებლის მემაშინეს მალიან ჰყვარებია ერთი ყმაწვილი ქალი, რომელიც თავის მხრივაც თანაუგრძნობდა თურმე. ქალის მშობლებსკი არაფრად მოსწონდათ ყმაწვილი კაცი და უარს იყვნენ, ქალს არ აძლევდნენ. სიყვარული ხომ ყოველს გვარს ზღუდესა და დაბრკოლებას გადაჰქლახავს ხოლმე და აი აქაც ასე მოხდა. ერთხელ ამ ქალის მშობლები შვილითურთ სადღაც წავიდნენ რკინის გზით, ამ დროს ქალი ჩუმად გამოვიდა თურმე ვაგონიდგან და შეხტა ორთქლ-მავალზე. ყმაწვილი კაციც ამას ელოდა, მატარებელი სათარიგო ლიანდაგზედ გადაიყვანა, მოხსნა ვაგონები და ორთქლ-მავალი მეორე სადგურზედ გაქანა. აქ პასტორი უცდიდათ კიდეც, ხელად გადასწერეს ჯვარი და მაშინვე დაბრუნდნენ დატოვებულ ვაგონებთან. აქ ახლად ჯვარ-დაწერილებმა მშობლებს გამოუცხადეს ეს ამბავი. რადგან მოგზაურთათვის ამ მოულოდნელმა შემთხვევამ მატარებელი ორის საათით დააგვიანა, მემაშინემ მაშინვე გადააბა თურმე ვაგონები ისევე და გაუდგა გზას, რომ დაკარგული დრო მოეგო.

— რკინის ნალი ცხენს საზოგადოდ მალიან უშლის ზამთარში და იმის გაცურებასა, დასხლტომას და დაცემას ხელს უწყობს. ეცადნენ რეზინიც-კი ეხმარათ ამ დაბრკოლების ასაცილებლად, მაგრამ ვერც ამან უშველა რამე, რადგან რეზინი ჩქარა ფუჩდებოდა და დიდ-ძალი ხარჯი უნდებოდა. ეხლა „Revue Scientifique“ ამბობს, რომ გერმანიაში ამას წინად ჭახრაკში გატარებული ქაღალდის ნალი სცადეს და გამოსადეგიც აღმოჩნდაო. ქაღალდის ნალი რკინისას იმითი სჯობია, რომ მაგრად და მკვიდრად ეცმევა ცხენს ჩლიქზედ, წყლისაგან არა ფუჩდება, სიარულის გამო ხორკლიანდება და ეს ხორკლიანობა-კი ცხენს ფეხს უმაგრებს და ზამთარში ფეხის წასხლეტას ხელს უშლისო.

◆◆

# დეპეშა

22 დეკემბერი

**პეტერბურგი.** მკურნალთა საზოგადოებამ საბოლოოდ გადასწყვიტა, ვეშუამდგომლოთ ხელის-მოწერის გამართვისათვის ბოტკინის ფონდის სასარგებლოდ, მხოლოდ ამ ფონდით დავაარსოთ არა ქვრივთა თავ-შესაფარი სახლი, როგორც წინად ვაპირებდით, არამედ რომელიმე სამადლო დაწესებულებაო.

იანვარში, საზამთრო სასახლეში, ნიკოლოზის დარბაზში გამართული იქმნება დიდი ბალი. ამ ბალში მიწვეულია რამდენიმე ათასი სტუმარი. მერე კიდევ საკონცერტო დარბაზში რამდენიმე სხვა ბალი გაიმართება.

სახელმწიფო ქონებათა მინისტრი სრულიად უკეთ შეიქმნა.

„Гражданинъ“-ი იუწყება, რომ განზრახვა აქვთ ქალაქის საზოგადო ბანკებს გამოსწირონ სამუდამოდ მიბარებული ფული სასულიერო უწყებისა და გადასცენ სახელმწიფო ბანკსაო.

«Новости» იუწყება, რომ რევიზია საბანკირო კანტორებისა უკვე დაიწყოვო. რევიზიას აწარმოებს უფროს კონტროლიორი სახელმწიფო ბანკისა, ფინანსთა სამინისტროს მოხელეო.

**ბერლინი.** ყველა კმაყოფილია, რაკი ყოველ მხრიდამ მშვიდობის მოყვარეობის ამბები ისმის. „Nordeutsche Algemeine Zeitung“-ი ამტკიცებს, რომ ახალი წელიწადი დგება ისეთს დროს, როცა მშვიდობიანობა იჩენს თავს სხვა-და-სხვა ალაგას და როცა მშვიდობის-მოყვარეობის ნიშნებია ყველგანაო.

**მადრიდი.** მინისტრები შეიკრიბნენ მარკიზ არმიხოსას და გადასცეს საგასტას არზები სამსახურიდამ დათხოვნისა.

**ციურიხი.** გუშინ საღამოს გაუფრთხილებლობით გაჩნდა ცეცხლი აქაურის თეატრის ფოიეში. ცეცხლი მალე გაძლიერდა და მთელი შენობა დაიწვა. საზოგადოებას დროზედ აცნობა ცეცხლის გაჩენის ამბავი რეჟისორმა და ხალხი მალე გამოვიდა მშვიდობით თეატრიდამ. არავითარი უბედურება არა მომხდარა რა. დეკორაციები სულ დაიწვა.

პეტერბურგის ბირჟა, 22 დეკემბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გარიგებისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | „ | 74 35 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | 148¹/₄ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 11 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 252¹/₄ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 229 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | 97³/₄ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | 97³/₄ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | 84¹/₂ | — „ | — „ |

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ. 5 კაპ.
პური 1-ის სარისხისა. 3¹/₂
„ 2 „ 3 „
თონის წითელი პური 1-ის ხარ. 5 „
„ „ 2 „ 4 „
„ „ 3 „ 3¹/₂
ჯვარის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა. . . . 5 „
მე-2 ხარისხისა . . . . 4 „
მე-3 — . . . . . „ „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
„ 2 „ 7 „
სუკი . . . . . . . . 14 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 7 “
ღორის ხორცი . . . . . „ “
„ 2 „ „ „ „

# განცხადებანი

ქართულს საკვირაო გაზეთს

„თეატრს“

აღუთქვეს მომავალ იანვრიდგან მუდმივი თანამშრომლობა და რედაქციაში მონაწილეობა თ. აკ. წერეთელმა, თ. ნ. ტ. დადიანმა, ბ-ნ დ. ზ. ბაქრაძემ, ნ. თ. ხიზანაშვილმა, ან. ნ. ფურცელაძემ და სხვ. რედაქცია ეცდება მიაღებინოს მონაწილეობა ყველა საუკეთესო წარმომადგენელებს ქართულის მწერლობისას.

ხელის-მომწერელთ, გარდა გაზეთისა, რომელიც აუცილებლად თავ-თავის დროზედ გამოვა, დაურიგდებათ უფასოდ ექვსიდგან თორმეტამდე ახალი წიგნი, ანუ სურათი.

რედაქცია და კანტორა გაზეთისა იმყოფება თბილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის თეატრის ქვეშ. ფოსტის ადრესი: въ Тифлисъ, въ конторѣ газеты „Театръ“.

ვისაც გაზეთის მიღება ჰსურს და ერთბაშად 5 მან. შემოტანა არ ეხერხება, შეუძლიან 3 მან. ეხლა გამოგზავნოს და 2 მან. პირველ მარტს.

---

თბილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან.

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ რადგან 16 დეკემბერს დანიშნულ ვაჭრობაზედ ვერ გაიყიდა ქვე მოხსენებული მამულები ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 30 დეკემბერს 1889 წელს.

ზაალოვი, ვახილ იხაკის ძე: ორსართულიანი ქვითკირის სახლი, სამოსამსახუროთი, სარდაფითა, ფლიგელით, სარაიით და ყოველისავე მოწყობილობით. მიწა ზომით 368 ოთხკუთხი საჟ. ქ. ტფილისს, 10 ნაწილში, 2 განყოფილებაში, ნიკოლოზის ქუჩაზედ თავნი ვალი 22593 მან. 25 კაპ. შემოსატანი 1299 მან. 80 კაპ. სულ 23893 მან. 5 კაპ.

შუტოვისა, ელისაბედ პაელეს ასული: სახნავი ადგილები, ზომით 17 დესიატ. 1780 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიასა და მაზრას, აგარაკთ დიდ-ენაგეთს. თავნი ვალი 189 მ. 82 კაპ. შემოსატანი 67 მან. 31 კაპ. სულ 257 მან. 13 კაპ.

---

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაჭვალებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენციისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს არ იხდიან.

(52—40)

---

სამეურნეო გაზეთი

„მეურნე“

გამოდის კვირაში ერთხელ.

გაზეთი „მეურნე“ მომავალს 1890 წელს გამოიცემა იმავე პროგრამითა და სიერცით, როგორც აქამდე გამოდიოდა.

გაზეთის ფასი:

| თბილისში | | თბილისს გარეთ | |
|---|---|---|---|
| 1 წლისა . . . | 4 მ.— | 1 წლისა . . . | 5 მან. |
| ¹/₂ „ . . . | 2 მ. 50 კ. | ¹/₂ „ . . . | 3 მან. |

ცალკე №—15 კაპ.

განცხადებანი მიიღებიან გაზეთში დასაბეჭდად ყველა ენაზედ, სტრიქონი 10 კაპ. უკანასკნელს გვერდზედ და 20 კაპ. პირველ გვერდზედ.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება: „კავკასიის სამეურნეო საზოგადოების“ კანცელარიაში და თვით რედაქციაში, რუეტის ქუჩაზედ, სახლი № 10.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ უნდა მიჰმართონ თითონ რედაქციას შემდეგის ადრესით: Тифлисъ, въ редакцію газ. „Мэурнэ“.

გაზეთის გაგზავნის გამო რედაქცია პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში წარმოადგენს.

---

მომავალ დღესასწაულებისათვის ისყიდება

## კარგი კახური ღვინოები

თუნგი ოთხ აბაზიდგან ვიდრე სამ მანეთამდე, ბოთლი ერთ აბაზიდგან ვიდრე ერთ მანეთამდე.

სარდაფი იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, წინამძღვრიშვილის შენობაში, № 2.

(2—1) სოლომონ კურდღელოვი

---

12 ТОМОВЪ переводныхъ романовъ, повѣстей, разсказовъ и т. п.

на 1890 годъ открыта подписка на НОВЫЙ ЕЖЕМѢСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНЫЙ ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ журналъ

320 страницъ въ каждомъ томѣ

3 Руб. НА ГОДЪ съ доставкой и пересылкой повсемѣстно.

## ДЕШЕВАЯ БИБЛIОТЕКА

Иностранная изящная литература чрезвычайно богата. Русская публика очень интересуется ею, но слѣдить за ея современнымъ состоянiемъ по переводамъ, разсѣяннымъ въ существующихъ изданiяхъ, трудно и дорого.

Заполнить этотъ пробѣлъ, т. е. облегчить русской читающей публикѣ знакомство съ лучшими беллетристическими произведенiями всѣхъ странъ и народовъ, дать возможность каждому, притомъ за крайне дешевую цѣну, составить себѣ хорошую библiотеку выдающихся иностранныхъ беллетристовъ — вотъ цѣль настоящаго изданiя.

ДЕШЕВАЯ БИБЛIОТЕКА будетъ помѣщать на своихъ страницахъ только такiя произведенiя, которыя съ удовольствiемъ могутъ быть прочитаны въ каждой образованной семьѣ.

Издатель, стоящiй во главѣ одной изъ обширныхъ московскихъ типографiй, имѣетъ всѣ средства сдѣлать изданiе вполнѣ изящнымъ не только по внутреннему содержанiю, но и по внѣшности.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА СЪ ДОСТАВКОЮ И ПЕРЕСЫЛКОЮ ПОВСЕМѢСТНО:

◆ На годъ 3 рубля. ◆

1 Р. 50 К. на полгода съ доставкой и пересылкой.

Адресъ редакцiи: Москва, Петровка, Рахмановскiй пер., д. Левенсонъ. Отдѣленiе конторы редакцiи: Москва, Кузнецкiй Мостъ, магазинъ „НАЧАЛЬНАЯ ШКОЛА“ Е. Н. Тихомировой.

Гг. иногородные благоволятъ обращаться ИСКЛЮЧИТЕЛЬНО въ контору редакцiи.

Редакторъ-издатель А. А. ЛЕВЕНСОНЪ.

(3—2)

---

ПОДПИСКА НА

„ТРУДЫ“

Кавказскаго Общества Сельскаго Хозяйства

1890 года,

выходящiе ежемѣсячно и посвященные нуждамъ кавказской сельскохозяйственной промышленности,

ПРИНИМАЕТСЯ ВЪ ТИФЛИСѢ,

въ канцеларiи Кавказскаго Общества Сельскгао Хозяйства, что на Барятинской улицѣ, въ Александровскомъ саду.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА ИЗДАНIЯ ЗА ГОДЪ—

ЧЕТЫРЕ руб.

съ пересылкою во всѣ города Россiйской имперiи и доставкою на домъ.

Отдѣльные номера не продаются.

Для напечатанiя въ „Трудахъ“ принимаютъ сельско-хозяйственныя объявленiя, по соглашенiю съ бро Общества.

Доз. ценз. Тифлисъ 23-го Декабря, 1889 г. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографiя Е. Г. Месхи, пом. Т. Д. З. Банка на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.